

ხელსახოცსა

- "ხელსახოცსა გადმოგიგდებ,
ოქრომკედით მოქარგულსა" .
- შიგ დამწვარ გულს ნუ გამიხვევ,
იოლად ნუ გზავნი ნურსად;
მე ისედაც ტვირთი მაწევს,
გზას ვერ ვიგნებ ბაიბურსა,
შენი გული რისთვის მინდა,
ჩემი როცა ჩაილურსმა!

ნხელსახოცსა გადმოგიგდებ..."

- ნუ, ნუ მახვევ ოქრომკედსა,
ნუ დამახრჩობ ხელსახოცით,
ლექსის ძარღვს ნუ დამიკეცავ,
სიმღერების ბოლი მახრჩობს,
მოგუბდა და ყელს მილეწავს;
შენი ოხვრა რისთვის მინდა,
შენი ტკბილი სინაზეცა!

"ხელსახოცსა გადმოგიგდებ
ოქრომკედით მოქარგულსა"!

- ნუ იმეტებ, მშვენიერო,
ნუ გაუშვებ მარტოს ნურსად,
თუ იმეტებ, გაიმეტე,
წყალს მიეცი ჩაილურსა,

შენი გული რაღათ მინდა,
როცა ჩემი ჩაილურსმა

- ხელსახოცსა...
- ხელს გაკოცებ,
თუ გამიხვევ მუჟა ნუშსა!